ETF Working together Learning for life

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

AGENDA

ღონისძიების დასახელება:	საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს გადახედვა: მიღწევები, პრიორიტეტები და სამომავლო გეგმები. საერთაშორისო პარტნიორებთან გამოცდილების გაზიარების გაძლიერება. .
მდებარეობა:	სასტუმრო ,,რედისონ ბლუ“ – თბილისი პირველი რესპუბლიკის მოედანი, თბილისი, 0108, საქართველო ტელ:: +995 322 40 22 00
თ ა რ ი ღ ი (ე ბ ი)	28-29 მარტი, 2019

შესავალი და მიზნები

<u>სამუშაო შეხვედრის შინაარსი და მიზნები:</u>

სამუშაო შეხვედრა ხელს უწყობს საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიმდინარე რეფორმას და ჩარჩოს მართვის ახალი ტიპისა და ინსტრუმენტების დანერგვის მომზადებას. აჯამებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფორმის ძირითად შედეგებს და უზრუნველყოფს გამოცდილების გაზიარებას.

ქართველი ხალხისთვის განათლება ძალზედ ღირებულია. სახელმწიფო და ოჯახი ინვესტიციას დებს განათლებაში, უნარებისა და კვალიფიკაციების განვითარებაში, რაც ხელს უწყობს ადამიანებს და ზრდის მათ მზაობას, იმისთვის რომ გახდნენ სოციალურად უფრო აქტიურნი და პროდუქტიულნი საკუთარ საქმიანობაში და ასევე, სწრაფად აუწყონ ფეხი გლობალურ ცვლილებებს. გამოწვევათა ამგვარი ერთობლიობა დიდ გავლენას ახდენს კვალიფიკაციების სისტემისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაძლებლობაზე, რათა მოქნილად და მაღალი სანდოობის შენარჩუნებით მოახდინონ რეაგირება და უპასუხონ ყველა დაინტერესებულ მხარეს.

კვალიფიკაციების სისტემებმა უნდა მოიცვან უწყვეტი განათლებით გამომუშავებული უნარები, სწავლების ახალი ფორმები და კვალიფიკაციები და მათი მართვის თანამედროვე მეთოდები. პროფესიული განათლების ახალი სტრატეგია, განათლების სისტემის მიმდინარე რეფორმები და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განახლება პრობლემის მოგვარების პროცესის ნაწილია, მაგრამ წინ გრძელი გზაა გასავლელი, რომელიც მოითხოვს შემდგომ საჯარო დებატებს და დაინტერესებული მხარეებისა და ექსპერტების ჩართულობას სახელმწიფო დონეზე.

2017-2018 წლებში დამაჯერებელი ნაბიჯები გადაიდგა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სტრუქტურისა და დონეების მოწესრიგების, ახალი მიზნების დასახვის, ჩარჩოს მართვისა და მონიტორინგის გაუმჯობესების გზით. განახლებულ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოზე გადასვლა 2019 წელს ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება და თანხვედრაშია მიმდინარე რეფორმებთან. ახალ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოზე გადასვლის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობას და დაინტერესებულ მხარეებს დახმარებას გაუწევს ევროკავშირის პროექტი, რომლის დაწყებაც 2019 წელსაა დაგეგმილი.

სამუშაო შეხვედრის განრიგი მრავალფეროვანია და წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფორმის მიმდინარე ეტაპს საქართველოს განათლების სტრატეგიის ერთიან კონტექსტში. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფორმის მიღწევები, მომავალი დისკუსიისა და განვითარების პრიორიტეტული სფეროები, ახალ ჩარჩოზე გადასვლასთან დაკავშირებული გამოწვევები და ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან თავსებადობის განსახილველი თემები შეხვედრის უმთავრესი საკითხებია. შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კონცეპტუალური და სტრუქტურული ცვლილებები, განახლებული საკანონმდებლო ბაზა და რეკომენდაციები. განათლებისა ხარისხის უზრუნველყოფისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სინერგიაზე დისკუსია თემატური იქნება, ვინაიდან საქართველო ისწრაფვის გახდეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA[1]) წევრი და ეს პროცესი მიმდინარეობს წარმატებით.

სამუშაო შეხვედრა ხელს უწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF) მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ისეთ პრიორიტულ საკითხებზე დისკუსიისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორებიცაა: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების უპირატესობები, კავშირი ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოებსა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვა, მართვის მექნიზმები და ინფორმაციის გაზიარება/გავრცელება კვალიფიკაციებისა და უნარების შესახებ დაინტესებული პირებისთვის. შეხვედრას ესწრებიან ევროკავშირის მოწვეული ექსპერტები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან: ესტონეთი, სლოვენია და ნიდერლანდები. შეხვედრას ასევე ესწრებიან მოლდოვას რესპუბლიკის წარმომადგენლები.

საქართველოს აქვს ამბიცია, რომ მისი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო თანხვედრაში იყოს ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, ასევე, საბჭოს მიერ მიღებული ახალი რეკომენდაციის - (22/05/2017) ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის - LLL შესაბამისად. ეს სამუშაო შეხვედრა გახლავთ ურთიერთობის პირველი ნაბიჯი ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოს მრჩეველთა ჯგუფთან.

,ევროპული განათლების ფონდი (ETF) 2017 წლიდან თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და ხელს უწყობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფორმირების პროცესს, რაც მოიცავდა დებატებს, გამოცდილების გაზიარებას, ექსპერტულ და ტექნიკურ დახმარებას საკანონმდებლო აქტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების განახლება/დახვეწაში. სამუშაო შეხვედრა დეგეგმილია და ორგანიზებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან ერთად. შეხვედრის მიზანია, შეჯამდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ევროპული განათლების ფონდის თანამშრომლობის ის ეტაპი, რომელიც უკავშირდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფორმას და დაიგეგმოს შემდგომი ნაბიჯები ევროკავშირის ახალი პროექტის დასაწყებად 2019 წელს. შეხვედრის მონაწილეები წარმოადგენენ შესაბამის სამინისტროებს და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებს, სოციალ-ეკონომიკურ პარტნიორებს და ექსპერტებს. მონაწილეებს საშუალება მიეცემათ, გაცვალონ მოსაზრებები და ჩაერთონ დისკუსიებში.

---

[1] ENQA: https://enqa.eu/

დღის წესრიგი

დღე 1: ხუთშაბათი, 28 მარტი, 2019

დღის აქცენტი:

განათლების რეფორმა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფორმის როლი საქართველოში. მიღწევები, პრიორიტეტები, სამომავლო გეგმები.

თავმჯდომარეები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო- ქ-ნი ირინე წეროძე (პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი) და მაია შუხოშვილი (უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი)

12.30 - 13.30	**მონაწილეთა რეგისტრაცია. მისასალმებელი მსუბუქი სადილი**
13.30 - 14.15	**გახსნა** **სამუშაო შეხვედრის მიზნები** *გიორგი ვაშაკიძე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი (NCEQE);* *მარიამ ჯაში - საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე;* *ირინა აბულაძე - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;* *ედუარდა კასტელ ბრანკო, ,ევროპული განათლების ფონდი (ETF)*
14.15 – 15.00	<u>1-ლი სესია:</u> **განათლების რეფორმები და სტრატეგიული ჩარჩო. ცვლილების მთავარი მიმართულებები** <u>*მომხსენებლები:*</u> *ირინა აბულაძე- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;* *ნიკა ყოჩიშვილი -საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი;* *ირინა ხანთაძე- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი;* <u>ძირითადი თემები:</u> – სტრატეგიული ჩარჩო: პრიორიტეტები, ძირითადი შედეგები, მნიშვნელოვანი მომავალი ნაბიჯები; – როგორ ცვლის პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი კვალიფიკაციათა საერთო სურათს? – ევროკავშირთან დაახლოების დღის წესრიგთან კავშირი - მთავარი შედეგები და ევროკავშირის შემდგომი ნაბიჯები განათლების რეფორმების მხარდასაჭერად. – სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრება

	პრეზენტაციები. განხილვა
15.00 – 16.00	<u>მე-2 სესია</u>: **უნარებისა და კვალიფიკაციების ცვლილება ცვალებადი საზოგადოებებისა და ეკონომიკისთვის.** **რას მოგვცემს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და როგორ?** **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფორმების შედეგები საქართველოში** <u>*მომხსენებლები:*</u>: - *გიორგი ვაშაკიძე- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;* - *ანი ქიტიაშვილი- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭო;* - *ედუარდა კასტელ ბრანკო, ევროპული განათლების ფონდი (ETF)* <u>ძირითადი თემები:</u> – საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ცვლილების მიმართულებები; – ჩარჩოს რეფორმის ძირითადი წინასწარი შედეგები; განახლებული საკანონმდებლო ბაზა; – განახლებული მართვის მოდელი დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე და მოლოდინებზე მყისიერი რეაგირების მიზნით. ჩარჩოს მონიტორინგი; – განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებულ სისტემასთან კავშირები და ურთიერთობა; – ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, რესურსები და ინსტრუმენტები (სახელმძღვანელო, კვალიფიკაციათა ელექტრონული მონაცემთა ბაზის კონცეფცია); – რეფორმირებულ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოზე გადასვლის პროცესში გამოწვევებთან გამკლავება. *პრეზენტაციები. განხილვა*
16:00 – 16:45	<u>მე-3 სესია: თემატური განხილვა</u> **არაფორმალური განათლების როლი და ადგილი. მოზრდილთა განათლება. პროფესიული მომზადება და გადამზადება.** **ძირითადი მიღწევები, გამოწვევები და მნიშვნელოვანი ნაბიჯები არაფორმალური განათლების ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოში ინტეგრაციისთვის.** <u>*პანელის წევრები:*</u>

	- *ირინა წეროძე - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი;* - *ნათია სამუშია - საქართველოს აგრარული უნივერისტეტი;* - *იაგო კაჭკაჭიშვილი- საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია;* - *სოციალური მომსახურების სააგენტოს ან სამრეწველო სავაჭრო პალატის წარმომადგენელი;* - *პავლე თვალიაშვილი - ,,საქართველოს საგანმანათლებლო ინიციატივების" დამფუძნებელი.* <u>ძირითადი თემები::</u> - არაფორმალური განათლების უპირატესობეები - ახლა და მომავალში. მთავარი გამოწვევები და პერსპექტივები; - ფორმალური განათლების მიღმა არსებული კვალიფიკაციების ადგილი ახალ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში. - არაფორმალური განათლების პოპულარულობის და სანდოობის გაუმჯობესების გზები. - როგორ უნდა ჩამოყალიბდეს/გაუმჯობესდეს არაფორმალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო? - რა სახის პარტნიორობა და თანამშრომლობაა აუცილებელი და რელევანტური არაფორმალური განათლების, ასევე ფორმალური განათლების, მომწოდებლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის? <u>*მოდერატორი:*</u> *ლიკა ღლონტი, ერაზმუს + ოფისი*
16.45-17.15	ყავის შესვენება

დღე 2: პარასკევი , 29 მარტი, 2019

<u>**დღის აქცენტი:**</u>

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სინერგია; ურთიერთკავშირები; გამოწვევები და სამომავლო გეგმები.
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარება ევროპაში: სამი მაგალითი - ნიდერლანდები, პორტუგალია და სლოვენია.
- ურთიერთანამშრომლობის უპირატესობები განახლებული ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოზე წარმატებული გადასვლის მიზნით.

<u>**თავმჯდომარეები**</u>**: მარინა ჟვანია (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი- NCEQE) და ტიმო კუუსელა (ევროპული განათლების ფონდი - ETF)**

08.30 - 09.15	**ყავა**

09.15 - 09.30	**შეჯამება: პირველი დღის შეჯამება** **მომხსენებელი: ედუარდა კასტელ-ბრანკო** *(ETF)*
09.30 – 10.45	**<u>მე-4 სესია:</u>** **სინერგია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფას შორის . არსებული მდგომარეობა და სამომავლო განვითარების გეგმები** *<u>მომხსენებლები::</u> (რეგლამენტი 10-12 წუთი თითეულს)* - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამსახურები: უმაღლესი განათლება - ლაშა მარგიშვილი, ზოგადი განათლება - ლალი შაიშმელაშვილი, პროფესიული განათლება - კახაბერ ერაძე; - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამმართველო - თეა ნადირაძე; - აკრედიტაციის ექსპერტები- ელენე ჯიბლაძე, ირმა გრძელიძე. <u>ძირითადი თემები: :</u> - განათლების ხარისხის უზრუნველყოფა; წარსული გამოცდილება, განვითარების ახალი ეტაპი, მნიშვნელოვანი ამოცანები - განათლების ყველა საფეხურზე. - ხარისხის უზრუნველყოფისა და ჩარჩოს სინერგია. გამოწვევები და შესაძლებლობები. - პრობლემები, ხარვეზები და პერსპექტივები. რა არის მათი მოგვარების გზები? - განათლების ხარისხის უზრუნველყოფის წარმატებული მაგალითები. - როგორ იზომება ხარისხის უზრუნველყოფის გავლენა? - როგორ განხორციელდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროგრესისა და გავლენის მონიტორინგი/გაზომვა? - როგორ ჩაერთვებიან ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები და დაინტერესებული პირები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვაში? - ერთობლივი გეგმები ხარისხის უზრუნველყოფისა და ჩარჩოსთვის? პრეზენტაცია. განხილვა
10:45 – 11.15	**ყავის შესვენება**
11:15 – 13:00	**<u>მე-5 სესია</u> :**

	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების განვითარება ევროპაში: სამი მაგალითი. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების ცვლილების ძირითადი მახასიათებლები და პერსპექტივები. სამი წარმომადგენელი ისაუბრებს მათი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების ძირითად მახასიათებლებზე და მიზნებზე, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან განვითარებასა და რეფორმებზე და მათ ინსტრუმენტებზე. მე-6 სესიაზე (სადილის შესვენების შემდეგ) მომხსენებლები ყურადღებას გაამახვილებენ მათი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების კონკრეტულ თემებზე და ინსტრუმენტებზე. *მომხსენებლები::* - *ნიდერლანდები (ვიდეო-ჩართვა)* - *ქ-ნი ურშკა მარენტიჩი, CPI - სლოვენია, (http://www.cpi.si/en/)* - *ბ-ნი ოლავ აამა, Kutsekoda - ესტონეთი, (https://www.kutsekoda.ee/en/* **რეგლამენტი თითეული მომხსენებლისთვის: 30 წუთი.** სახელმძღვანელო / განსახილველი საკითხები: - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ძირითადი მიზნები და სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლები. - რას ნიშნავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ცვლილება, მისი როლი და ადგილი საერთო კვალიფიკაციათა სისტემაში? - როგორ უწყობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ხელს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას LLL, საფეხურებს, დონეებსა და კვალიფიკაციათა ტიპებს შორის გამჭვირვალობას და გამტარიანობას? რომელია ძველი და ახალი გამოწვევები? - რა ტიპის ძირითადი გამოწვევები და წინააღმდეგობები იყო ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოში და როგორ მოგვარდა/გადაწყდა ისინი? - როგორ ეხმარება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო განათლების პოლიტიკას და დასაქმების პოლიტიკას? - როგორ უჭერს მხარს ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩო (EQF) დებატებს და გამოცდილების გაზიარებას? *მოდერატორები: ქეთი ფანჩულიძე- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;* *ედუარდა კასტელ ბრანკო, ,,ევროპის განათლების ფონდი", ETF.*
13:00 – 14:00	**სადილის შესვენება სასტუმროს რესტორანში**
14.00 – 15.30	**მე-6 სესია:** **ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოების მაგალითები: კონკრეტული თემები, გაგრძელება**

	<u>მომხსენებლები::</u> - *ქ-ნი ურშკა მარენტიჩი, CPI - სლოვენია* - *ბ-ნი ოლავ აამა, Kutsekoda - ესტონეთი,* - *ქ-ნი ტატიანა გერსტეგა, ქ-ნი ვიორიკა ქონდრუკი, განათლების, კულტურის და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დეპარტამენტი, (მოლდოვა)* <u>სახელმძღვანელო / განსახილველი საკითხები:</u> - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის მოდელები, დაინტერესებული მხარეები, სტრატეგიული და ოპერაციული მართვა; - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგი და მისი გავლენის გაზომვა: ძირითადი მექანიზმები, ანალიზი, ხარვეზები და პერსპექტივები; - კვალიფიკაციების განვითარება: გამოყენებული მოდელები, სიახლეები და გამოწვევები; - ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციათა ჩართვა და მართვა: კვალიფიკაციების მონაცემთა ბაზები. კვალიფიკაციების ახალი ტიპები. კავშირი სხვა ინსტრუმენტებთან. - არაფორმალური განათლების აღიარება - როგორ უკავშირდება ეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს? - ხარისხის უზრუნველყოფა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - ურთიერთქმედება: სინერგია, პრობლემები და პერსპექტივები. 30 წუთი თითეულ მომხსენებელზე *მოდერატორები: ლელა მაისურაძე, ნინო ბერელიძე*
15:30 – 16:15	<u>**მე-7 სესია:**</u> **განხილული საკითხებისა და გაზიარებული გამოცდილების გააზრება. რესურსები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განხორციელების საგზაო რუკისთვის.** **განხილვა სამ სამუშაო ჯგუფში.** *მონაწილეთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციების მოკლე პრეზენტაციები და სტრუქტურირებული მსჯელობა შესაბამისი საჯარო დაწესებულებების, დაინტერესებული პირებისა და საერთაშორისო პარტნიორების საყურადღებოდ.* <u>ძირითადი თემები</u>: - რა არის ქართველი და ევროპელი მომხსენებლების მსჯელობისა და გაზიარებული გამოცდილების ყველაზე რელევანტური გზავნილები და გაკვეთილები?

	- რა მნიშვნელოვანმა რისკებმა და გამოწვევებმა შეიძლება იჩინონ თავი ახალ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოზე გადასვლის დროს? - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვა და მონიტორინგი: რის გათვალისწინება და სწავლა შეიძლება სამი წარმოდგენილი მაგალითიდან? - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლებისა LLL და უკეთესი გამტარიანობისთვის: რისი გათვალისწინებაა შესაძლებელი საქართველოსთვის წარსული პრობლემებისა და ახალი ვარიანტების საპასუხოდ? - კვალიფიკაციების განვითარება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კონტექსტში: როგორ გამოვიყენოთ წარსული კარგი გამოცდილება და გზა გავუხსნათ სიახლეებს? - როგორ მივაწოდოთ საზოგადოებას, დამსაქმებლებს, მოსწავლეებს ინფორმაცია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოზე და გავაძლიეროთ მისი პოპულარობა და გავლენა. - სხვა პრიორიტეტები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანერგვის გზამკვლევისთვის. სამი მოწვეული მომხსენებელი მონაწილეობას მიიღებს სამუშაო ჯგუფის განხილვებში. *სესიას წარადგენენ და გაუძღვებიან:* *განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და „ევროპის განათლების ფონდი“ - ETF* *სამუშაო ჯგუფის ფასილიტატორები და მომხსენებლები: შემოთავაზებული და დადასტურებული იქნება სამუშაო შეხვედრაზე .* ***მონაწილეებისთვის უზრუნველყოფილია ყავა და მსუბუქი სასმელები (თვითმომსახურება). ყავის შესვენება დაგეგმილია საბოლოო სესიის შემდეგ.***
16:15 – 16:45	<u>მე-8 სესია</u>: **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ვითარდება - საბოლოო დებატი** თითოეული სამუშაო ჯგუფის ძირითადი დასკვნების პრეზენტაცია (5 წუთი თითეულ ჯგუფზე) სამი საერთაშორისო ექსპერტის მოსაზრებები და რჩევები - განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მომავალი ნაბიჯების თაობაზე. მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან. ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (EQF) თანამშრომლობის ვარიანტები. რა შეიძლება ავირიდოთ თავიდან, რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება? რა ისწავლეს მათ ქართული გამოცდილებიდან? *სესიის მოდერატორები: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და „ევროპის განათლების ფონდი“ -ETF*

16.45 – 17.00	**დასკვნები და საბოლოო შენიშვნები.** **სამუშაო შეხვედრის დახურვა.** *მომხსენებლები: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და „ევროპის განათლების ფონდი“ -ETF, ევროკავშირის დელეგაცია*
17.00 – 18.00	**ყავის შესვენება**

YOUR NOTES